МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელასთვის და ყველა ერთისთვის.

(47.93)331.881
8.50

წესდება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზებზე მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირისა.

წესდება დამტკიცებულია საქართველოს რკინის გზების დელეგატების პირველ ყრილობის მიერ 21 ენკენისთვეს 1918 წ.

გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობისა.

თბილისი
საქართველოს სახაზინო გზების სტამბა.
1918

83
331.881(47.92)
ნ-50
(47.93)331.8
ნ-50

წესდება

საქართველოს სახაზინო რკინის გზებზე მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირისა.

განყოფილება I.

კავშირის დანიშნულება და მიზანი.

§ 1. რკინის გზის კავშირი ისახავს თავის მიზნათ: ა) რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებას, ბ) თავის წევრთა პოლიტიკურ, უფლებრივ, კლასობრივ, პროფესიონალურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვას, მათთვის ბრძოლას და აგრეთვე თავის წევრთა კულტურულ განვითარებაში ხელის შეწყობას, გ) მონაწილეობის მიღებას მუშათა კლასისა და მშრომელთა მასსის ინტერესებისათვის საერთო ბრძოლაში ყოველგვარ შევიწროებისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. კავშირის მიერ წამოყენებულ ცალკე პროფესიონალურ, ეკონომიურ, უფლებრივ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, და აგრეთვე იმ საშუალებებს, რომლითაც კავშირი იცავს ამ მოთხოვნებს, ადასტურებს კავშირის ცენტრალური გამგეობა. გაფიცვის კითხვა სწყდება ამ ორგანიზაციის წევრთა 2/3 ხმით.

შენიშვნა 2. კენჭის ყრის წესს იმუშავებს კავშირის ცენტრალური გამგეობა.

შენიშვნა 3. საერთო პოლიტიკურ მოღვაწეობაში კავშირი სთვლის საჭიროთ შეუთანხმდეს სხვა კავშირებს და პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა პროგრამმა არ ეწინააღმდეგება კავშირის მიზანს.

შენიშვნა 4. რკინის გზის კავშირი შედის წევრათ საქართველოს საერთო პროფესიონალურ კავშირში, როცა ასეთი შესდგება.

§ 2. კავშირი განაგებს და უძღვება გზებზე სამოსწავლო და აღზრდის საქმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით და ამ საგნის შესახებ წესდების მიხედვით.

§ 3. კავშირი განაგებს და უძღვება გზებზე საექიმო-სასანიტარო საქმეს თანახმათ ამ საგნის შესახებ არსებულ კანონდებულებისა.

§ 4. კავშირი განაგებს რკინის გზებზე მუშებისა და მოსამსახურეების მიღებადათხოვნის საქმეს თანახმათ ამ საგნის შესახებ არსებულ ან გამოსაცემ კანონებისა და კოლექტიური ხელშეკრულობისა, რომელიც დადებული იქმნება კავშირსა და რკინის გზის სამაართველოს შორის.

F 18.979

§ 5. რკინის გზის კავშირს აქვს ყველა უფლებები იურიდიულ პირისა და ანხორციელებს ამ უფლებებს ცენტრალურ გამგეობის საშუალებით.

კავშირის შემადგენლობა.

§ 6. კავშირის წევრათ ითვლებიან ყველა გზაზედ მოსამსახურეები და მუშე-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, რომელთა მუშაობა არაა შემთხვევითი ხასიათის.

შენიშვნა 1. კავშირის წევრებათ შეიძლება იყვნენ იმ ამხანაგობის წევრები (артельщики) და რწმუნებულები, რომლებიც ემსახურებიან რკინის გზას.

შენიშვნა 2. უმაღლეს თანამდებობის პირები, მოიჯარადრეები, დამქირავებლები (рядчики), მათი მოსამსახურეები და მუშები არ შეიძლება იყვნენ კავშირის წევრებათ.

შენიშვნა 3. კავშირის ორგანოებს შეუძლიათ მოიწვიონ თავიანთ საქმეებში მცოდნე პირები სათათბირო ხმით.

§ 7. კავშირი შესდგება პროფესიონალურ სექციებისგან.

კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

§ 8. არჩევნებისა და გადამწყვეტი ხმის უფლებებით სარგებლობენ კავშირის

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ

ყველა წევრები, თუ მათ შეუსრულდათ 18 წელი. ამათ აქვთ აგრეთვე უფლება იყვნენ არჩეულნი კავშირის ყველა ორგანოებში. იმ პირებს, რომელთაც არ შესრულებია 18 წელი, აქვთ მხოლოთ სათათბირო ხმის უფლება.

§ 9. კავშირის ყველა წევრი მოვალეა დაემორჩილოს კავშირის წესდებას და კავშირის ორგანოების გადაწყვეტილებებს.

კავშირის ორგანოები.

§ 10. კავშირის ორგანოებათ ითვლებიან:

ა) პროფესიონალური სექციის გამგეობა.

ბ) კავშირის რაიონული გამგეობა.

გ) კავშირის ცენტრალური გამგეობა.

დ) დელეგატების ყრილობა.

ე) სადისციპლინო სასამართლო.

ვ) სარევიზიო კომისია.

ზ) სამოსწავლო კომიტეტი.

თ) სასურსათო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება II.

პროფესიონალურ სექციის გამგეობა.

§ 11. პროფესიონალური სექცია აერთებს ყველა ერთ პროფესიაში მყოფ მოსამსახურეებს და მუშებს.

§ 12. სექციის წევრათ მოვალეა იყოს ყველა ერთ პროფესიაში მყოფი მოსამსახურე და მუშა, ორივე სქესისა, მიუხედავათ ეროვნებისა, წლოვანებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ რწმენისა.

§ 13. ყველა წევრს აქვს უფლება, თუ ის არაა მცირე წლოვანი, იყოს არჩეული კავშირის აღმასრულებელ ორგანოების ყველა თანამდებობაზე.

§ 14. ყოველ წევრმა უნდა შეუთანხმოს თავის მოქმედება სექციის მიზანს და დანიშნულებას.

§ 15. სექციის წევრი, შეგნებულათ დამრღვევი სექციის პრინციპებისა, საერთო კრების დადგენილებით შეიძლება იყოს გამორიცხული, თუ კი ამას მოით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვს კრებაზე დამსწრეთა 2/3 უმეტესობა. ასეთი დადგენილება რაიონულ გამგეობის მიერ ეგზავნება დასამტკიცებლათ ცენტრალურ გამგეობას.

§ 16. პროფესიონალური სექციის საქმეების პირდაპირი მართვა-გამგებლობა არის გამგეობის ხელში

§ 17. გამგეობის წევრები ირჩევენ თავიანთ შორის თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს.

§ 18. პროფესიონალურ სექციის გამგეობის სხდომები იმართება კვირაში არა ნაკლებ ერთისა.

§ 19. გამგეობის დადგენილებანი ნამდვილია, თუ მას ხმა მისცა გამგეობის წევრთა არა ნაკლებ 2/3 ნაწილმა, დადგენილებებს იღებენ დამსწრე წევრთა უბრალო ხმის უმრავლესობით.

§ 20. პროფესიონალურ სექციების და რაიონულ გამგეობათა ანგარიშებისა და საქმის წარმოების შესამოწმებლათ ირჩევა სარევიზიო კომისია.

§ 21. სარევიზიო კომისიას შეუძლია ყოველ წამს მოსთხოვოს გამგეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექციის ესა თუ ის წიგნი შესამოწმებლათ, რომელიც სწარმოებს სარევიზიო კომისიის 2/3 წევრთა დასწრებით.

განყოფილება III.

კავშირის რაიონული გამგეობა.

§ 22. საქართველოს რკინის გზა იყოფა ტერიტორიალურათ რაიონებათ. რაიონებს განსაზღვრავს ცენტრალური გამგეობა.

§ 23. ამა თუ იმ რაიონში მყოფი პროფესიონალური სექციები გზავნიან რაიონულ გამგეობაში დელეგატებს.

§ 24. რაიონულ გამგეობის წევრთა რაოდენობა სწყდება ამ რაიონის სექციების გამგეობათა საერთო კრებაზე.

§ 25. რაიონის გამგეობის საქმეებს განაგებს პრეზიდიუმი, რომლის წევრთა რაოდენობა სწყდება თვითონ გამგეობისგან.

§ 26. თავმჯდომარე, მისი თანაშემწენი და მდივანი ირჩევიან თვით გამგეობის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 27. რაიონულ გამგეობებს აქვთ მორიგი და არაჩვეულებრივი სხდომები. მორიგი სხდომები ინიშნება პერიოდიულათ, გამგეობის მიერ წინდაწინვე დანიშნულ დღესა და საათზე. არა ჩვეულებრივ კრებებს კი იწვევს პრეზიდიუმი საჭიროო შემთხვევებში.

§ 28. რაიონული გამგეობა არჩევს პროფესიონალურ სექციებიდან გადატანილ საქმეებს მხარეების საჩივრით.

განყოფილება IV

კავშირის ცენტრალური გამგეობა.

§ 29. კავშირის ცენტრალური გამგეობა ითვლება აღმასრულებელ ორგანოთ საქართველოს სახაზინო გზების მოსამსახურეთა და მუშათა საერთო ყრილობისა, რომელიც იწვევა პერიოდულათ და შესდგება დელეგატებისგან. უკანასკნელთ ირჩევენ მოსამსახურეები და მუშები 200 კაცზე 1 დელეგატს.

§ 30. ცენტრალურ გამგეობის წევრებს ირჩევს საერთო ყრილობა იმ რიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვით, რომელსაც გადასწყვეტს თვით ყრილობა. გამგეობის წევრათ შეიძლება აგრეთვე აირჩეს ის მოსამსახურე და მუშა, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ყრილობის წევრათ.

31. კავშირის გამგეობა თვით განსაზღვრავს პრეზიდუიმის წევრთა რაოდენობას.

§ 32. კავშირის ცენტრალური გამგეობა მუდმივათ იმყოფება თფილისში.

§ 33. გამგეობა ხელმძღვანელობს რაიონულ და პროფესიონალურ სექციების გამგეობათა საქმეებს და აძლევს მათ საჭირო შემთხვევებში სახელმძღვანელო დარიგებებს.

§ 34. კავშირის ცენტრალური გამგეობა არჩევს რაონულ გამგეობათა ყველა საქმეებს, რომელნიც გადმოტანილი იქმნებიან აქ მხარეების საჩივრით.

§ 35. ცენტრალურ გამგეობის მოვალეობას შეადგენს მომზადება და გზის მიცემა ყველა იმ საქმეებისთვის, რომელნიც ეხებიან გზაზე მოსამსახურეთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კავშირის ინტერესებს; მაგალითად, დელეგატების ყრილობის დადგენილებათა სისრულეში მოყვანა, დამოკიდებულება ყოველ გვარ დაწესებულებასთან და პირებთან კავშირის საქმეების შესახებ, გამოცემა კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა, აღძვრა ყოველ გვარ საკითხების რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა ცხოვრების უფლებრივ, პროფესიონალურ, ეკონომიურ და კულტურულ პირობათა გაუმჯობესების შესახებ, დაცვა მათი ინტერესების, და აგრეთვე დაცვა მუშათა და მოსამსახურეთა ინტერესების მოიჯარადრეებისაგან, დაცვა მცირე წლოვანთა შრომისა და საზოგადოთ ყველა იმ პირთ, რომლებიც ემსახურებიან გზას; შედგენა კომისიებისა და სექციების; მოწვევა თათბირის და ყრილობის ყველა იმ კითხვებისთვის, რომლების გარჩევას მოითხოვს გზაზე მოსამსახურეთა საჭიროება; შესრულება ყოველგვარ აქტებისა და ხელშეკრულებათა, რომლებიც შეეხებიან გზაზე მოსამსახურეთა და მუშათა კავშირის საქმეებს, ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებათა შეძენა და მოშორება კავშირის სახელით, დაცვა სასამართლოში კავშირის საქმეებისა, ხარჯვა კავშირის თანხისა ყრილობის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის ან დადგენილების ფარგლებში, შემუშავება სტატისტიკურ ცნობებისა მოსამსახურეებისა და მუშების შესახებ და საერთოთ ყველა ის, რაც საზოგადოთ ხელს შეუწყობს კავშირის საქმეების სწორ სვლას და მის დანიშნულებათა წარმატებით განხორციელებას.

§ 36. გზის საზღვრებში კავშირის საქმეების განსახილველათ იწვევა მორიგი და არაჩვეულებრივი გზის ყრილობები. მორიგი ყრილობა იწვევა ერთხელ წელიწადში, დელეგატების ჩვეულებრივ ყრილობას იწვევს საჭირო შემთხვევებში ცენტრალური გამგეობა თავის ნებით, სარევიზიო კომიტეტის მოთხოვნილებით და ან რაიონულ გამგეობათა არა ნაკლებ ნახევარი ნაწილის მოთხოვნილების მიხედვით. ის დაწესებულებანი, რომლებიც მოითხოვენ დელეგატების არა ჩვეულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ყრილობას, მოვალენი არიან წარმოადგინონ დასაბუთებული განცხადება სადაც ნაჩვენები იქნება ყრილობაზე გადასაწყვეტი საგნები. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური გამგეობა მოვალეა მოიწვიოს ყრილობა არა უგვიანეს ოთხი-კვირისა დღიდან განცხადების მიღებისა. ყრილობის სხდომებზე თავმჯდომარეობს ყრილობის მიერ არჩეული პირი. დელეგატების ყრილობა ირჩევს: ცენტრალურ გამგეობას, სარევიზიო კომისიას, სამოსწავლო და სასურსათო კომიტეტს.

სარევიზიო კომისია.

§ 37. სარევიზიო კომისიას ირჩევს დელეგატების ყრილობა თანახმათ ყრილობის მიერ განსაზღვრული რიცხვისა. სარევიზიო კომისიის წევრათ შეიძლება აგრეთვე იყოს ყრილობის არა წევრი მოსამსახურე და მუშა. კომისია ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, მდივანს და მათ თანამოადგილეებს. სარევიზიო კომისიის წევრათ არ შეიძლება იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულნი ადგილობრივ რკინის გზის კავშირის აღმასრულებელ ორგანოების წევრნი, და აგრეთვე ისინი, ვისაც უჭირავთ კავშირში ჯამაგირიანი ალაგები. სარევიზიო კომისია წლის განმავლობაში რევიზიას უკეთებს კავშირის ყველა ორგანოების ფულის ანგარიშებს, საქმის წარმოებას და მოღვაწეობას. შენიშნულ უწესრიგობის შესახებ კომისია ატყობინებს შესაფერ გამგეობას, ან თხოულობს დელეგატების ყრილობის მოწვევას.

სამოსწავლო კომიტეტი.

§ 38. წევრები იმ კომიტეტისა, რომლის მოვალეობას შეადგენს კავშირის ყველა სამოსწავლო-საგანმანათებლო საქმეების ზედამხედველობა, ირჩევიან წესდების მიხედვით.

სასურსათო კომიტეტი.

§ 39. სასურსათო კომიტეტის წევრები ყრილობის მიერ განსაზღვრული რიცხვით ირჩევიან თვით ყრილობის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყოფილება V.

§ 40. კავშირის სახსარს შეადგენს: ა) ყველა წევრის შესასვლელი გადასახადი 1% სამსახურში ყოველგვარ მინაღებ თვიურ სარჩოსგან, მუშების დღიურ ან გარიგებულ სასყიდლიდან, თუ უფასო ბინა აქვს მოსამსახურეს, ბინის ღირებულებიდან, სავერსო ფულებიდან და პრემიისგან, გარდა შემთხვევით მიცემულ ფულებისა, როგორიცაა დახმარება, საჩუქარი, დღიური და სხვა. ბ) ყოველთვიური საწევრო გადასახადი 1% ყველა იმ მიღებულ სარჩო ფულებისგან, რომელიც ნაჩვენებია პირველ პუნკტში. გ) კავშირის საკუთარ მოძრავ და უძრავ ქონების და წარმოებათა შემოსავალი. დ) შეკრეფილი ფული ლექციებისგან, კონცერტებისგან და ყველა შემთხვევითი შემოსავალი.

საწევრო გადასახადს უკავებს მოსამსახურეებს რკინის გზის სალაროები ჯამაგირის სიების, ტაბელების და სხვა წარდგენილ ფულის მისაღებ საბუთების მიხედვით. გამორაცხული ფული გადაეცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ გამგეობას. ის კავშირის წევრები, რომლებიც იღებენ გზიდან სარჩოს ფულს არა ფულის მისაღებ საბუთებით, მოვალენი არიან შემოიტანონ კავშირის სალაროში გადასახადი თვითონ ან რწმუნებულების ხელით. კავშირის სახსარი იხარჯება ხარჯთ აღრიცხვის ან დელეგატების ყრილობის გადაწყვეტილების მიხედვით.

შენიშვნა. საწევრო გადასახადი არავის უბრუნდება უკან.

§ 41. პროფესიონალური სექციები და აგრეთვე კავშირის რაიონული გამგეობანი სახსარს იღებენ ცენტრალურ გამგეობის განკარგულებაში მყოფ თანხიდან პროფესიონალურ სექციების, რაიონულ და ცენტრალურ გამგეობისა და დელეგატების ყრილობის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით.

განყოფილება VI.

ყველა ორგანოთა არჩევნების წესი და მათი უფლებათა ვადა.

§ 42. კავშირის ყველა ორგანოების შემადგებლობა ირჩევა ერთი წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოდან გასული წევრის მაგიერ შეიძლება არჩეულ იქმნას სხვა წევრი ახალი ვადით.

კავშირის ორგანოთა შემადგენლობა სავსებით, ან მათი ცალკე წევრები შეიძლება გაწვეულ იქმნან უკან ვადის შესრულებამდე იმ კრების გადაწყვეტილებით, რომელმაც ესა თუ ის კავშირის ორგანო აირჩია. კავშირის ყველა წევრებს აქვთ აქტიური და პასიური არჩევნების უფლება.

§ 43. კავშირის აღმასრულებელ ორგანოს არჩევნები ხდება ფარული კენჭის ყრით პროპორციონალურათ.

შენიშვნა. როგორც მორიგ, ისე არა მორიგ დელეგატების ყრილობაზე გამგეობის წევრთ აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ადგილობრივ მიცემული მანდატი რომ ის წევრია ამ ყრილობისა.

§ 44. კავშირის ორგანოსგან რომელიმე წევრის გასვლის შემდეგ მის ად-

F 18.979 019014 2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილს იჭერს არჩეული კანდიდატი. იმ შემთხვევაში, თუ წასული წევრი დაუბრუნდა თავის თანადებობას, კანდიდატები თავისუფლდებიან აღნიშნულ მოვალეობის შესრულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ კავშირის ორგანოს რომელიმე წევრი მოკლე დროთი ანებებს თავს ორგანოს, კითხვა იმის შესახებ, დაიჭიროს თუ არა მისი ალაგი კანდიდატმა, სწყდება თვით კავშირის ორგანოს მიერ. ის პირნი, რომლებიც არჩეულნი არიან კავშირის უმაღლეს ორგანოებში, თავისუფლდებიან მათ მიერ აღებულ მოვალეობისგან კავშირის სხვა ორგანოებში და ენახებათ მათ ამ თანამდებობათა კუთვნილი წოდება.

§ 45. მთელი წესდება და აგრეთვე მისი ცალკე მუხლები შეიძლება შესცვალოს მხოლოთ დელეგატების გადაწყვეტილებამ. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იყოს ყრილობაზე მყოფ დელეგატების ხმის აბსოლიტიური უმრავლესობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 46. ამ წესდების მიღებით კარგავს ძალას ყოფილ ამიერ-კავკასიის რკინის გზების ყრილობათა მიერ მიღებული წესდება, სრულიათ რუსეთის რკინის გზათა კავშირისა, წესდება პროფესიონალურ სექციებისა და დებულება ადგილობრივ და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ.

ИСТ. ИСТОРИИ ПАРТИИ ПРИ ЦК КП ГРУЗИИ
БИБЛИОТЕКА

F 18.979
2